

სპორტული

საპროკატარაგო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროკატარაგო რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

11 აპრილი, სამშაბათი, 1987 წ. № 155 (9566) შპსი 3 კაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან



აქცენება სპორტის რეკონსტრუქციის 70-ე წლისთავს

სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

ყორაღ, კალათბურთელებო!



კალათბურთელებო ტურნირზე გაიმართა ვადამწყვეტი ნახევარფინალური და ფინალური მატჩები. ნახევარფინალში საქართველოს კაბუტა ნაკრების მეტოქე, როგორც იცით, „დინამოს“ ნაკრები გუნდი იყო. ქართველ კალათბურთელთა უპირატესობა თამაშის დაწყებისთანავე გამოიკვეთა. განსაკუთრებით

აქტიურად იბრძოდნენ მასპინძლები ფარიდან ასპლექტილი ბურთებისათვის და ამიტომ დაცვაშიც კარგად თამაშობდნენ. ამას გვიდასტურებს ის ფაქტი, რომ „დინამოს“ ნაკრებმა პირველ ტაიმში მხოლოდ 16 ქულის მოგროვება

ის მ.2 33



სპორტული და მედლები

თამაშებში საქართველოს სპორტული დელეგაციის მიერ მოპოვებული ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები.

საბოლოო ცხრილი

სპორტის სახეობა	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო	სულ
მძლეოსნობა	2	1	2	5
სპ. ტანვარჯიში	2	0	2	4
ძალოსნობა	0	1	1	2
წყალბურთი	0	0	1	1
ნიჩ. (ბ. და კ.)	0	0	1	1
კრივი	5	4	4	13
ცურვა	0	0	0	0
საგზ. ველორბ.	0	0	0	0
ფრენბურთი	0	0	0	0
ქადრაკი	0	0	0	0
ფეხბურთი	1	0	0	1
შაგ. ჩოგბურთი	0	0	0	0
სამბო	3	3	2	8
მხატვ. ტანვარ.	0	1	0	1
კლ. ჯიდ.	1	2	3	6
კალათბურთი	1	0	1	2
ფარიკაობა	0	0	2	2
ჩოგბურთი	0	0	1	1
ბადმინტონი	0	1	1	2
წყალში სტომა	0	1	0	1
ტყვიის სროლა	1	1	2	4
თავის კიდაობა	1	2	3	6
აკად. ნიჩბოს.	1	0	1	2
ძიულფო	5	0	0	5
ხელბურთი	0	1	0	1
სულ	23	18	27	68

შენიშვნა: მსაჯთა კოლეგია აჯამებს კოლექტივების საბოლოო შედეგებს, რასაც „ლელოს“ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.



კალათბურთელთა ტურნირში გამარჯვებული საქართველოს კაბუტა ნაკრები გუნდი.

საპროკატარაგო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროკატარაგო რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

მძლეოსნობის მატჩები — კაბუტა ნაკრები გუნდი: მძლეოსნობა — შურაბ სამუკაშვილი, გიგა კორაძე, მამუკა თურმანიძე, ვეფხია ავალიანი, დავით აბაღიანი. (საქართველოს გუნდმა დაიკავა I ადგილი); აკადემიური ნიჩბოსნობა — საქართველოს ეკიპაჟი (ოთხდღიანი გასაშლელი, მესაქით); თავისუფალი კიდაობა — კახაბერ ჯაბიძე.

მედიცინის მატჩები. ბადმინტონი — ელისო მარგველაშვილი (ერთეულთა თანრიგი). თავისუფალი კიდაობა — გივი სისაური, გიორგი პატაშვილი (საქართველოს გუნდი II ადგილზე).

ბრინჯაოს მატჩები. ბადმინტონი — ელისო მარგველაშვილი და ნინო ზალიაშვილი (წყვილთა თანრიგი); კალათბურთი — გოგონათა ნაკრები გუნდი; ტყვიის სროლა — დარეჯან ლუმაძე; აკადემიური ნიჩბოსნობა — თორდგილიანი (წყვილთა თანრიგი); თავისუფალი კიდაობა — ზაზა ზოზიროვი, კახაბერ ლევიძე, მინდია ბაგელიძე.

სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების დამთავრებამდე ერთი დღით ადრე ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონზე, მთავარ პრესცენტრში, რესპუბლიკის სპორტსახკომისა და სპორტულ უნივერსიტეტის რეაბილიტაციის ფედერაციის თაოსნობით გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც უნივერსიტეტის ვარაზ მთიურის სპეციალისტები,

ბი, თამაშების ორგანიზატორები და მსაჯთა კოლეგიის წარმომადგენლები. პრესკონფერენციის მონაწილეებმა იმსჯელეს მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრებების სისტემის სრულყოფის საკითხებზე.

უნივერსიტეტისა და სპეციალისტების შეკითხვებზე უპასუხეს სსრ კავშირის სპორტსახკომის სპორტული რეზერვის სამმართველოს უფროსმა ვლადიმერ ბაუერმა და თამაშების მთავარმა მდივანმა ეფიმ სირიუტკინმა.

საქართველოს სსრ სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოდან გეგმობენ, რომ რესპუბლიკის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებში მოხდება ცვლილებები.

იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისის „დინამო“ სულ მალე ჩაებმება უეფას-ის გათამაშებაში, სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველომ და ფეხბურთის ფედერაციამ ნება დართეს გურამ აგოევის ხარკოვის „მეტალისტიდან“ გადმოვიდეს თბილისის „დინამოში“. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი გ. გოგრიჭიანი გადაყვანილია ქუთაისის „ტორპედოში“.

ბაში, სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველომ და ფეხბურთის ფედერაციამ ნება დართეს გურამ აგოევის ხარკოვის „მეტალისტიდან“ გადმოვიდეს თბილისის „დინამოში“. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი გ. გოგრიჭიანი გადაყვანილია ქუთაისის „ტორპედოში“.

ფიზკულტურის დღეს მიეძღვნა



თბილისი



მალაქის შუაგულში მდებარე ეს ტრასა — ლენინის მოედნიდან გამარჯვების პარკამდე გადქიმული — უკვე ნაცნობი სარბიელი გახდა დედაქალაქის სპორტსმენებისა და ფიზკულტურელებისათვის. 8 აგვისტოს ქალაქის სპორტკომიტეტის მუშაკებმა სწორედ ამ მაგისტრალზე მოაწყვეს დიდი კომბინირებული ამანატრბენი. ესტაფეტის მონაწილეებისთვის — ქალაქის რაიონების ცხრა კოლექტივისთვის ბრძოლას პირველი ადგილისთვის უფრო სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა — ამ გარბენის დანიშნულება ხომ სპორტისა და ფიზკულტურის. აგისტი იყო.

პროკატარაგოების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება მსგავსი ორგანიზაცია და ფიზკულტურელთა დიდ არმიას აერთიანებს. 8 აგვისტოს, ფიზკულტურის დღეს, ამ საზოგადოების ფიზკულტურული აქტივობა შეეცადა, რაც შეიძლება ბევრი ადამიანი გამოეყვანა ზეიმზე. დონისძიებები გაიმართა როგორც ქალაქში, ისე მის მიდამოებში, მაგალითად, მსუბუქი მრეწველობის დარგობრივი პროფკავშირების მუშაკებმა მოაწყვეს ლაშქრობა ბაზალეთის ტბაზე. დიდმის ტყე-პარკშიც ბევრმა მოყვარულმა მოიყარა თავი.

მთავარი ღონისძიება მაინც სააგისტიო გარბენი იყო. რკინიგზების სახლის წინ მარშის ხმაზე, სხვადასხვა საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებმა სტარტი აიღეს 1500-მეტრიან დისტანციაზე, ფინიში ორჯონიკიძის სახ. პარკთან ჰქონდა, სადაც შედგა

ზეიმის დასკვნითი ნაწილი, კერძოდ შეჯიბრება სპორტის ე. წ. სათამაშო სახეობებში.

სურათებზე: ამანატრბენის მონაწილეები რუსთაველისა (მარცხნივ) და პლენანოვის გამზირებზე. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

ცხინვალი

ცხინვალურ სტადიონზე ქალაქის საწარმოების კოლექტივები და სპორტსაზოგადოება „დინამოს“ წარმომადგენლები ერთმანეთს შეეჯიბრნენ ბაგირის გადაძალვაში, სიმძიმეების აწევებაში, სხვადასხვა დისტანცია რბენაში, მოეწყო კროსიც.

ის მ.3 33

დინამოელთა შორის

12 აპრილს თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველთა კალენდრის შეჯიბრებაში თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა გარდა მონაწილეობას მიიღებენ ფრუნჯისა და ჩელიაბინსკის კოლექტივები. გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან ორ-ორჯერ.

გთავაზობთ თამაშების კალენდარს: 12 აპრილი. 17.30 მოსკოვი — ფრუნჯე, 19.15 ტურნირის საზეიმო ვახსნა. 19.45. თბილისი — ჩელიაბინსკი. 13 აპრილი. 18.00. მოსკოვი — ჩელიაბინსკი, 19.45. თბილისი — ფრუნჯე. 14 აპრილი. 18.00. ჩელიაბინსკი

— ფრუნჯე, 19.45. მოსკოვი — თბილისი. 15 აპრილი. 18.00 მოსკოვი — ფრუნჯე, 19.45. თბილისი — ჩელიაბინსკი. 16 აპრილი. 18.00. მოსკოვი — ჩელიაბინსკი, 19.45. თბილისი — ფრუნჯე. 17 აპრილი. 18.00. ჩელიაბინსკი — ფრუნჯე, 19.45. მოსკოვი — თბილისი.



მშობრს თბილისის იპოდრომზე წმინდასახლთან ცხენებისთვის გათამაშდა რამდენიმე დიდი პრიზი, რომელთაგან ერთი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის პრიზი (2200 მეტრი) მოიგო ქართველმა მხედარმა დავით თაბაგარმა. თაბაგარმა მოიგო მცირე დერბიც. თამაშ ქიქვას ფოტო.

სპორტული სკოლები მოსწავლეთა საკავშირო თამაშების მიზნით

ძიუდოსტა ნადავლი



ბორი საგანგებოდ მოემზადა სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების ძიუდოსტა ტურნირისათვის. საჭიდაო დარბაზსაც ასეთი იერსახე არასდროს ჰქონია. დაიდგა ელექტროტაბლო, გაუმჯობესდა განათება, გამოიყენა დასასვენებელი ოთახები სპორტსმენთათვის, მწვრთნელებისთვის, მსაჯებისთვის, მიუწყო პრეს-ცენტრი.

მაყურებლებიც ბლომად დადიოდნენ ნორჩ მოჭიდავეთა ბრძოლების სანახაოდ და მათ იმედები არ გაუმტყუნდათ. ქართველი ფალაგებმა გუნდური პირველი ადგილი დაამყარებლად მოიგეს — 89 ქულა, თანაც მეორე-მესამე ადგილებზე გასულ კოლექტივებს — რუსეთის ფედერაციისა და პროფკავშირების პირველ გუნდს (მათ 52-52 ქულა დააგროვეს) 37 ქულით გაუსწრეს.

ჩვენმა ძიუდოსტებმა თავი პირად ჩათვალეს გამომჩინეს. ნაკრების ხუთმა წევრმა თქვით მქონეები დაიმსახურა: ქუთათსელმა და

კლათბურთელები!

შეძლო, საქართველოს ნაკრების უპირატესობა უკვე პირველ ტაიმში საქმოდ დამაჩვენებლად გამოიყურებოდა — 54:16. მეორე ტაიმში მწვრთნელმა გუნდის წამყვან მოთამაშეებს დასვენების საშუალება მისცეს და სარბიელზე მეორე ხუთეული გამოიყვანეს. ეს მატჩი მასპინძლებმა დიდი ანგარიშით მოიგეს — 92:50 და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. რსფსრ-ის ნაკრებმა მოულოდნელად უკრაინის გუნდს — 76:57 და მეორე ფინალსტიკ გამოვლინდა, ფინალურ მატჩში უპირატესობას თავდაპირველად სტუმრები ფლობდნენ — ორივე

ფარზე ბრძოლა მათ მოიგეს. ამიტომ მასპინძლებმა დაცვის ფორმა შეცვალეს, რამაც შედეგი გამოიღო. სულ უფრო უძირდა მოწინააღმდეგეს მასპინძელთა შეტევის ლიდერების შენგელოას (37 ქულა) და ხელაშვილის (22) ნეიტრალიზება. პირველი ტაიმის ბოლოს საქართველოს ნაკრები რვა ქულით დაწინაურდა — 44:36. მეორე ტაიმში საქართველოს ნაკრების უპირატესობა კიდევ უფრო გაიზარდა და გუნდმა დამაჩვენებელი ანგარიშით მოიგო — 82:63. საქართველოს ნაკრები თამაშების ჩემპიონი გახდა, რაც ჩვენი ჰაბუკეების და მათი მწვრთნელების დიდ წარმატებად უნდა ჩითვებოდეს. გუნდს არც ერთი მატჩის მოგება არ გასჭირვებია. გაგაცნობთ ჩემპიონებს: ხელაშვილი, შენგელოა, ჭკვირელი, ბაღათურია, კობალაშვილი, ნიკურაძე, ვახიანი, სვანიძე, სამხიაშვილი, დავითაია, ტენიანი.



თამაშების მესამე პრიზორი — საქართველოს კლათბურთელ გოგონათა ნაკრები გუნდი.

უფროსი მწვრთნელი ვაჟა ჭკუასელი, მწვრთნელი ავთანდილ ჩხიკვაძე. ბრინჯაოს მედლები მიიღო უკრაინის ნაკრებმა, რომელმაც ძნელ ბრძოლაში დაამარცხა „დინამო“ — 82:78.

როგორც ცნობილია, ნახევარფინალში საქართველოს გოგონათა ნაკრების მეტოქე რსფსრ-ის საქმოდ ძლიერი კოლექტივი იყო. ამ დღეს ქართველმა გოგონებმა საუკეთესოდ ითამაშეს, მასპინძლებს ტრაგეის გამო აკლდათ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, მათ შორის ტანბალაღ ბერელოძე (188). პირველ ტაიმში დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა, ძლიერი იყო მასპინძელთა შეტევის ლიდერი თეა კომლაძე (26 ქულა). კარგად ითამაშეს ჩვენმა გოგონებმა დასრულდა პირველი ტაიმი სტუმრებმა მხოლოდ მინიმალური უპირატესობით მოიგეს — 39:38. მეორე ტაიმში სტუმრების გამოცდილებამ მიიწვი თავისი გაიტანა და მათ ძნელი გამარჯვება მოიპოვეს — 83:74. ფინალში რსფსრ-ის გუნდის მეტოქე იყო დასავლეთი ზონის გუნდი. დამაბულ ბრძოლაში ანგარიშით 62:56 გაიმარჯვა და ჩემპიონი გახდა რსფსრ-ის ნაკრები. ბრინჯაოს მედლები მოიპოვა საქართველოს ნაკრებმა, რომელმაც დიდი ანგარიშით მოუგო პროფკავშირების მეორე გუნდს (103:50), რაც ჩვენი გოგონების და მათი ხელმძღვანელების (უფროსი მწვრთნელი ნ. ჭკვირელი, მწვრთნელები ვ. ჭკვირელი და ნ. ინჯოშვილი) სეკრეტული წარმატებაა.

ტურნირის საუკეთესო ბომბარდირად გოგონათა შორის თეა კომლაძე აღიარეს. ჰაბუკეებში — კახა შენგელოა. ტურნირის საუკეთესო ცენტრალურ თავდასხმელად კახა შენგელოა დასახელეს.

მერაბ კალანდიაძე.

ბაღის უნდა გნალოვდეს

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ტურნირში დაჯილდოვებულმა ექვსმა სპორტიო ადგილმა (ერთი — პირველი, ორი — მეორე, სამი — მესამე) რესპუბლიკის ნაკრებს მეორე გუნდური ადგილი მოუტანა. მაგრამ კვირადღეს, ფინალური შეხვედრების დაწყების წინ, მდგომარეობა ერთობ გაურკვეველი იყო. თეორიულ შანსებს გამარჯვებისთვის სულ ცოტა ხუთი გუნდი მაინც ინარჩუნებდა, მათგან ყველაზე რეალურ პრეტენდენტებად პროფკავშირების-1 კოლექტივი და საქართველოს ნაკრები მიაჩნდა.

ჩვენს რესპუბლიკას, ისევე როგორც პროფკავშირების პირველ გუნდს, ფინალში სამ-სამი მოჭიდავე ჰყავდათ. სამი პირველი ადგილი ჩვენთვის ულამაზაოდ გამარჯვების ნიშნავდა. მაგრამ იყო სხვა შანსიც, ოღონდ ჩვენს მთავარ მეტოქეებს ფინალში ერთი ორთაბრძოლა მაინც უნდა წაეგებოთ. სხვათა შორის, ყველაზე კუდი ვარაუდით პროფკავშირების პირველ კოლექტივს IV-V ადგილებზე გასვლა შეეძლო. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც გუნდური ადგილების განაწილებას ეხებოდა, ფინალური ორთაბრძოლებზე იყო დამოკიდებული. წინა დღით საქართველოს გუნდმა სამი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა (48 კგ ზაზა ზოზირაძე, 56 კგ კახაბერ ლევიძე და მძიმე — მინდია ბაგელიძე) და ამით შემდგომი წარმატებისთვის ერთგვარი ბაზა შეიქმნა.

სამ-სამი ფინალსტიკ საქართველოსა და პროფკავშირების პირველი გუნდის გარდა ჰყავდათ რუსეთის ფედერაციისა და „დინამოს“, „შრომითი რეზერვის“ კი ერთი მატჩი — ოთხი მოჭიდავე. აი ასეთ პირობებში დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლა გუნდური პირველობისთვის.

მაგრამ წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ მთავარი ამოცანა პირნათლად მხოლოდ პროფკავშირების მოჭიდავეებმა შეასრულეს. ძლიერს, როგორც ამბობენ, ბედიც წყალობს. დიხ, ბედს უნდა უმადლოდეს

პროფკავშირების ნაკრები, რომ პირველსავე ფინალურ შეხვედრაში გამარჯვება მოიპოვა, თორემ ოთხნახევარი წუთის განმავლობაში ამ გუნდის წევრი მოხამედ ჯალაკოვი საცოდავ მდგომარეობაში იყო და სამხრეთის გუნდის წარმომადგენელ ვიქტორ ორუჭევიანს შეხვედრას პირწმინდად აგებდა — 6:16. და მხოლოდ ერთმა იბრაჰიმბა ილეთმა მას წმინდა გამარჯვება მოუტანა.

სიმშვიდე პროფკავშირების პირველი გუნდის მწვრთნელმა ვერც მეორე ფინალურმა ბრძოლამ მოუტანა (52 კგ-ში), ვიქტორ ენისმა ამავე უწყების მეორე გუნდის წარმომადგენელს ალბუზარ მუნტარაოვს 1 ქულით (14:13) აჯობა და მხოლოდ სერგეი პაზიჩმა მოიგო თავისი ბრძოლა წმინდად (დინამოელ მაქსიმ გელერთან).

პროფკავშირების გუნდის საწინააღმდეგოდ ჩვენმა მოჭიდავეებმა სამიდან მხოლოდ ერთი შესაძლებლობა გამოიყენეს — კახაბერ ჯაბიძემ ფინალური ორთაბრძოლა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელს ვიტალი გიზოვს 2 ქულის უპირატესობით (6:4) მოუგო.

სხვა ორი ორთაბრძოლა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა დათმეს, თუმცა ასეთ ტურნირში არც ვერცხლის მედლის მოპოვება ურიგო შედეგი. 45 კგ წონაში ვია სისაური ჰასან ჰასანოვთან („შრომითი რეზერვის“) დამარცხდა, ხოლო გიორგი პატაშურს (74 კგ) რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა ალან ვიანზროვმა აჯობა.

საბოლოო ჯამში გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. პროფკავშირები-1, 2. საქართველო, 3. სამხრეთის ზონა.

ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ: მოხამედ ჯალაკოვი (პროფკავშირები-1), ჰასან ჰასანოვი („შრომითი რეზერვის“), ნარაირ ჯეგორჯიანი („ურთაია“), ვიქტორ ენისი (პროფკავშირები-1), ალექსანდრე კოლენსიკი (უკრაინა), რაჩიკ არაქელიანი („დინამო“), სერგეი ხლისტუნოვი (პროფკავშირები-1), ალან ვიანზროვი (რუსეთის ფედერაცია), კახაბერ ჯაბიძე (საქართველო), ოლეგ ლადიკი (უკრაინა) და იური კუდინოვი (სამხრეთის ზონა).

„ოქროს“ „ბრინჯაოს“

— **ჩვენ** ქვეყნის უძლიერეს ჰაბუკე ნიხოსნებთან ბრძოლა ალბათ ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ უკან დახევას არ ვაპირებთ, ვეიჭრობ, ორ მედალს მაინც მოვიპოვებთ. — გვითხრა ფოთში გამგზავრების წინ საქართველოს აკადემიურ ნიხოსანთა ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ოთარ ბერელოძემ.

გამართლდა მწვრთნელის ვარაუდი: ოთხადგილიანი გასაშუილი მესაპიანი ნაგებობა შეჯიბრებაში საქართველოს ოთხეულმა რბოლის ფაფორიტებს, პროფკავშირების ორვე კვიპაუს აჯობა და პირველმა გადაკვეთა ფინალის ხაზი. შეიძლება ითქვას, რომ ქართველმა ნიხოსნებმა ჰეშმარტად სენსაციური წარმატება მოიპოვეს. რა ხანია საქართველოს ჰაბუკე ნიხოსნებს ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრებაში ოქროს მედლები არ დაუსაკუთრებიათ.

პრიზიორთა დაჯილდოებისას კვარცხლბეკზე უხმეს ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ერთ ეკიპაუს: ორადგილიანი წყვილთა მსაჯის ნაგებობაში წყვილთა მსაჯის ნაგებობაში საქართველოს წარმომადგენლებმა მესამე ადგილი დაიკავეს.

თეა კომლაძის პონაწილობითი

მოფარება კავშირის შედეგების საბოლოო ცხრილი ყველაზე საინტერესო არგუმენტია ჩვენი გუნდისათვის. რაც არ უნდა იყოს, საქართველოს ნორჩი მუშაკეტირები საერთო-გუნდურ პირველობაში მე-4 ადგილებზე აღმოჩნდნენ და რამდენიმე ძლიერი კოლექტივი ჩამოიტოვეს უკან. მართალია, პირად პირველობაში მასპინძლებს მნიშვნელოვანი წარმატებისათვის არ მიუღწევიათ (რუსულან გალუაშვილის ბრინჯაოს მედალისა და სავთის ფიზიკურ მო-

ბაღის უნდა გნალოვდეს

მზადებაში მოპოვებულ ოქროს გილდოს გარდა, მაგრამ გუნდი მთლიანად შედარებით სტაბილურად გამოვიდა. თუმცა დაშლილი ფარკიბის დროს შეიქმნა „ამინდის გაუარესების“ საშიშროება: პირად პირველობაში ჩვენი გუნდის საუკეთესო წევრმა თბილისელმა გიორგი თავართქილაძემ მხოლოდ მე-20 ადგილი დაიკავა. 22-ე იყო მისი თანაქალაქელი ირაკლი ჯანყარაშვილი, ოცდამესამე — ბათუმელი ლევან ჩხარტიშვილი, თბილისელმა დიმიტრი გოგოჩიძემ კი მხოლოდ 34-ე ადგილი დაიკავა. პირად შეჯიბრებაში ასეთი გამოსვლის შემდეგ გუნდურ პირველობაში, ცხადია, მაღალი ადგილის იმედი არც უნდა გვექონოდა და მართლაც, ჩვენმა ოთხეულმა მე-8 ადგილი დაიკავა.

მაგრამ როდესაც მსაჯებმა ყველა სახეობაში მოგროვილი ქულები დაითვალეს, როგორც უკვე ვთქვით, ჩვენ უფრო სასიამოვნო სურათი წარმოგვიდგა: საქართველოს ნაკრები მე-4 ადგილზე გავიდა.

ბაღის უნდა გნალოვდეს

პისტოლეთის სროლაში ბათუმელმა დარეჯან ღუშბაძემ ორი მედალი მოიპოვა, მაგრამ მის გამოსვლა უღებლო შეიძლება ვუწოდოთ როგორც იცით, მცირეკალიბრის პისტოლეთის სროლაში (33-5) დარეჯანმა მხოლოდ დამატებით ცდაში დათმო ოქროს მედალი.

იგივე გამეორდა პნეუმატური იარაღით (33-2) ასპარეზობაში, ოღონდ ამჯერად „სადაო“ მე-2 ადგილი გახდა. ძირითადი შეჯიბრების შემდეგ 384 ქულით I ადგილი დაიკავა ნელი ოსისმა, მაგრამ აქაც მეორე ადგილი გახდა სხვადა — 380-380 ქულა მთავაროვს ღუშბაძემ და არბიელმა ტატიანა საგჩენკომ. საქირო გახდა დამატებითი სერის ჩატარება. საბოლოოდ ბათუმელმა სპორტსმენმა III ადგილი დაიკავა.

ბოლო დღეს ეშერის სასროლში ჩვენი სპორტსმენების გმოსულებიდან აღსანიშნავია, აგრეთვე თბილისელი არჩილ მეგრელიშვილის შიერ პნეუმატური შანსის სროლაში მოპოვებული VI ადგილი — 562 ქულა. აქ ჩემპიონი გახდა დინამოელი ივან შახოვი — 575.

საქართველოს ტყვიის მსროლთა ნაკრებმა საბოლოოდ VII ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია რომ მე-5 ადგილზე მყოფ სამხრეთის ზონის სპორტსმენებს ჩვენი გუნდი მხოლოდ 5 ქულით ჩამორჩა.

მასალები მომზადდა: ნოდარ გუგუშვილმა, თამაზ ხარაბაძემ, თამაზ შიგრაიულმა, ალექსანდრე პაპოშვილმა, შორენა ფიცხვალავამ, ფოტოები ალექსანდრე კოტორაშვილისა და გურამ დოდენაშვილისა

